

დანართი №2

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“-ს ხარისხის პოლიტიკა

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“ შედარებით ახალგაზრდა კომპანიაა, რომელსაც აქვს მუდმივი ზრდისა და განვითარების ამბიციის.

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“ ორიენტირებულია მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოებაზე, რომელიც ყოველთვის დააკმაყოფილებს შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნებს და ასევე გათვალისწინებული იქნება კლიენტთა მოთხოვნები და მოლოდინები. კომპანია მუდმივად ზრუნავს როგორც კლიენტებისთვის მაღალი ხარისხის პროდუქციის და მომსახურების მიწოდებაზე, მათი კმაყოფილების უზრუნველყოფაზე და გაზრდაზე, ისე საკუთარი თანამშრომლებისთვის ეფექტური და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნაზე, მათ მოტივაციასა და პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“ მუშაობს ახალი კლიენტების მოზიდვაზე და სასარგებლო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებაზე.

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“ მიიჩნევს, რომ ხარისხის მართვის გამართული და ეფექტური სისტემა ორგანიზაციის ეფექტური და წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა და განუყოფელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“ მუდმივად ორიენტირებულია სისტემის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, საკანონმდებლო, კლიენტების და ყველა სხვა რელევანტური დაინტერესებული მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნის გათვალისწინებაზე, დაკმაყოფილებაზე და შესაბამისად განვითარებაზე.

მოცემული ხარისხის მართვის პოლიტიკა დამტკიცებულია შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსის“ დირექტორის მიერ და მის შესახებ ინფორმირებულია კომპანიის ყველა თანამშრომელი.

შპს „ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი“

თარიღი: 20/07/2018

დირექტორი